

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს სურვილი, შეასრულოს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით საქართველოს მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის სრულყოფისა და ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება, იზრუნოს გარემოზე და მოახდინოს გარემოზე მავნე ზემოქმედების პრევენცია, შემსუბუქება ან თავიდან აცილება.

გარემოს დაცვის სფეროში, ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორცაა გარემოსდაცვითი მმართველობა და ჰორიზონტული საკითხები, მათ შორის, სტრატეგიული დაგეგმვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოს სტრატეგიული შეფასება, განათლება და ტრეინინგი, მონიტორინგი და გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემები, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, გარემოს შესახებ ინფორმაციის საჯაროობა, ადმინისტრაციული და სამართლებრივი განხილვის ეფექტიანი პროცედურები, ასევე, ჰაერის ხარისხის, წყლის ხარისხის და წყლის რესურსების მართვა, ნარჩენების მართვა, ბუნების დაცვა, ინდუსტრიული დაბინძურება და ქიმიური ნივთიერებების მართვა.

ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველომ აიღო ვალდებულება განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას შემდეგ სფეროებში:

1. გარემოსდაცვითი მმართველობა და გარემოს საკითხების პოლიტიკის სხვა სფეროებში ინტეგრირება (2011 წლის 13 დეკემბრის 2011/92/EU დირექტივა გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ), რომელიც რამდენიმე ძირითად საკითხებს მოიცავს:

- ეროვნული კანონმდებლობის მიღება და კომპეტენტური ორგანო(ებ)ის განსაზღვრა
- მოთხოვნების ჩამოყალიბება, რომლითაც I დანართის პროექტები დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ) და პროცედურების შემუშავებას, რათა გადაწყდეს, II დანართის რომელი პროექტები საჭიროებს გზშ-ს;
- იმ ინფორმაციის შემადგენლობის განსაზღვრა, რომლის წარმოდგენაც მოეთხოვება საქმიანობის განმახორციელებელს;
- გარემოს დაცვის უწყებასთან და საზოგადოებასთან კონსულტაციების პროცედურების განსაზღვრა;
- ადმინისტრაციულ და სამართლებრივ დონეზე ეფექტიანი, ხელმისაწვდომი და დროული განხილვის პროცედურების დანერგვა, რომელშიც ჩართული იქნება საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.

2. გარკვეული გეგმებისა და პროგრამების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (2001 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/42/EC დირექტივა):

- პროცედურის ჩამოყალიბება, რომლითაც განისაზღვრება, თუ რომელი გეგმა ან პროგრამა მოითხოვს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას და შესაბამისი მოთხოვნების შემუშავება, რომელთა მიხედვითაც აღნიშნული გეგმები და პროგრამები სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას დაექვემდებარება;

- გარემოსდაცვით უწყებასთან და საზოგადოებასთან კონსულტაციებისათვის პროცედურების განსაზღვრა;

- ინფორმაციის გაცვლისა და კონსულტაციების მექანიზმის შემუშავება ევროკავშირის იმ წევრ ქვეყნებთან, რომელთა გარემოზეც პროექტმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს;

3. საზოგადოების გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ (2003 წლის 28 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/4/EC დირექტივა) და საზოგადოების მონაწილეობას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული გეგმებისა და პროგრამების შემუშავება (2003 წლის 26 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/35/EC დირექტივა):

- საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და შესაბამისი გამონაკლისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს შესახებ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა;

- საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელების სისტემის დანერგვა;

- საჯარო კონსულტაციების მექანიზმის შემუშავება;

- მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მხრიდან შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღებას მათი შემდგომი გათვალისწინების მიზნით.

სწორედ ამ ზემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებების შესასრულად შემუშავდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტი, რომელიც დეტალურად, პროცედურულად არეგულირებს ყველა იმ საკითხს, რომელიც მოცემულია ევროკავშირის შესაბამის დირექტივებში. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კანონპროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნაწილში დაეყრდნო ევროკავშირის დირექტივების არა კონსოლიდირებულ, ანუ ცვლილება შეტანილ ვერსიებს, რომელიც დინამიურად მიმდინარეობს ევროკავშირში, არამედ იმ არსებულ 2011 წლის ვერსიას, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებაშია მოცემული. ამავდროულად, კანონპროექტის შემუშავებისას გაზიარებული იქნა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა, რათა კანონპროექტი იმგვარად ჩამოყალიბებულიყო. რომ მორგებოდა ქვეყნის არსებულ რეალობას და შესაბამისობაში ყოფილიყო ქვეყნის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საქართველოს მიერ გარემოსდაცვითი შეფასების მიმართულებით ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფა და ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურების დანერგვა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებისა და საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიღებით ჩამოყალიბდება ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა.

დაინერგება სექტორული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემა.

საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი სანებართვო სისტემის გაუმჯობესებისა და მისი ევროსტანდარტებთან დაახლოების მიზნით, 2013 წლის აპრილში დაიწყო გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.

გარემოსდაცვითი შეფასების კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციის პროცესის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი რეგულაციები სრულ შესაბამისობაში იქნება მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ საუკეთესო მიდგომებთან. კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაექვემდებარება ყველა ის საქმიანობა (მასშტაბისა და კატეგორიის მიხედვით), რომელიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს გარემოს მდგომარეობასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამასთან, უფრო მკაფიო და ეფექტიანი გახდება საზოგადოების ჩართულობის მექანიზმი გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებისას ყველა დაინტერესებული პირის მოსაზრებების მაქსიმალურად გათვალისწინებას.

ამასთანავე, კანონპროექტის მიღებით დაინერგება სრულიად ახალი რეგულაციები, რომლებიც დაფუძნებული იქნება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივის მოთხოვნებზე.

არსებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ ცალკეულ პროექტებზე მიღებული გადაწყვეტილება არ არის საკმარისად ეფექტიანი მექანიზმი, იმისათვის, რომ სხვადასხვა სექტორებში დაგეგმარების პროცესი მიმდინარეობდეს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ასპექტების გათვალისწინებით. შესაბამისად, გამოიკვეთა საჭიროება ამა თუ იმ გეგმის/პროგრამის შემუშავების მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე გათვალისწინებულ იქნეს როგორც გარემოსდაცვითი, ასევე ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები. ამისათვის, საჭიროა ახალი, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ინსტიტუტის დანერგვა ეროვნულ კანონმდებლობაში. რაც გულისხმობს სხვადასხვა დონეზე, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტების შეფასებას და საუკეთესო ალტერნატივების გამოვლენას. თავის მხრივ, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის შედეგად გაცემული რეკომენდაციები არ იქნება სავალდებულო ხასიათის, თუმცა ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სექტორების დაგეგმარების პროცესში გაითვალისწინოს გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტები, ამავდროულად, საზოგადოების მონაწილეობის შედეგები. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ინსტიტუტის პრაქტიკაში სწორად დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, მსოფლიო ბანკისა (WB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი - „ელექტროენერგეტიკის სექტორის განვითარების სცენარების სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება“. პროექტის ფარგლებში, გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე იგეგმება დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების მონაწილეობა, რათა ქვეყანამ დააგროვოს პრაქტიკული გამოცდილება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების იმპლემენტაციის კუთხით.

კანონპროექტი შედგება შვიდი თავისგან და 51 მუხლისაგან, ამასთან, კანონპროექტს დანართის სახით თან ერთვის საქმიანობების ჩამონათვალი, რომელიც თავისი არსითა და პროცედურული საკითხების გათვალისწინებით გაყოფილია ორად.

პირველი თავი - ზოგადი დებულებები. აღნიშნულ თავში მოცემულია კოდექსის რეგულირების სფერო, მიზნები და ამოცანები და ტერმინთა განმარტებანი, ასევე იმ უფლებამოსილი ორგანოების ფუნქცია-მოვალეობანი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში. უფრო კონკრეტულად, დეტალურად არის განსაზღვრული საქართველოს მთავრობის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფუნქცია-მოვალეობანი კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამავდროულად, კოდექსის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება კონკრეტულ საქმიანობაზე ან გეგმასა და პროგრამაზე გადაწყვეტილებების მიღებისას. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტით მოხდება ისეთი მნიშვნელოვანი ტერმინების გამიჯვნა, როგორც არის მაგალითისათვის „საზოგადოება“ და „დაინტერესებული საზოგადოება“. მოცემული ტერმინების ცალკე-ცალკე განმარტების საჭიროება გამომდინარეობს ორპუსის კონვენციის მოთხოვნებიდან და მიმართულია იმისკენ, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი საზოგადოებისა და დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების ადრეულ ეტაპზე, ასევე მათთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯარო განხილვაში ეფექტიანი მონაწილეობა. ამასთან, წარმოდგენილ კანონპროექტში მოცემული ტერმინთა განმარტებანი, კერძოდ: „გარემოზე ზემოქმედების შეფასება“, „საქმიანობა“, „სკრინინგი“, „სკოპინგი“, „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება“ და „სტრატეგიული დოკუმენტი“ სრულად ეფუძვნება ევროკავშირის იმ დირექტივებს, რომელთა შესრულებაც ქვეყანამ იკისრა ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე.

მეორე თავი - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის პროცედურა. დღეის მდგომარეობით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურები დადგენილია „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ და „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონებით. არსებული პროცედურებისგან განსხვავებით, კანონპროექტი ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ახალი სისტემის დანერგვას. უფრო კონკრეტულად:

ა) **გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ახალი ჩამონათვალი** - კანონპროექტით განსაზღვრულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული ახალი საქმიანობების ჩამონათვალი. გარემოზე ზემოქმედების რისკებისა და ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინებით, საქმიანობები დაჯგუფებულია ორ დანართში. პირველ დანართში მითითებული საქმიანობები ცალსახად ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. რაც შეეხება მეორე დანართში მითითებულ საქმიანობებს, მათთვის თავდაპირველად გათვალისწინებულია სკრინინგის პროცედურის ჩატარება, რომლის საფუძველზეც დადგინდება ექვემდებარება თუ არა საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამდენად, ერთი შეხედვით, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალი იზრდება, თუმცა, რეალურად, მეორე დანართში მოცემული საქმიანობები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას, თუ ეს დადგინდება სკრინინგის გადაწყვეტილებით. ამასთან, კანონპროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე არის ის, რომ იგი ითვალისწინებს

სკრინინგის და სკოპინგის პროცედურების ერთ ეტაპად გაერთიანებას, რაც საქმიანობის განმახორციელებელს მისცემს საშუალებას, სკრინინგის ეტაპზე წარადგინოს როგორც სკრინინგის ასევე სკოპინგის პროცედურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია, რომელსაც სამინისტრო განიხილავს პარალელურ რეჟიმში. მოცემული დანაწესი საშუალებას მისცემს საქმიანობის განმახორციელებს დაზოგოს დრო და პროცედურა გაიაროს მისთვის ხელსაყრელ ვადებში. ამავდროულად, კოდექსის პროექტი მაქსიმალურად ხელსაყრელ პროცედურებს სთავაზობს საქმიანობის განხორციელებით დაინტერესებულ პირს. კერძოდ, თუკი იგი მიიჩნევს, რომ მის მიერ დაგეგმილი საქმიანობა სავალდებულოდ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, იგი უფლებამოსილი იქნება, პირდაპირ სკოპინგის განცხადებით მიმართოს გარემოს დაცვის სამინისტროს (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე) და ითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. ასეთ დროს პირი დაზოგავს სკრინინგის ეტაპისათვის გათვალისწინებულ დროს და ვადებს და შესაბამისად ადმინისტრაციულ წარმოებას სამინისტროში დაიწყებს სკოპინგის ეტაპით. მნიშვნელოვანია ასევე განიმარტოს ახალი რეგულაციების მნიშვნელობა და მისი გავლენა კერძო სექტორზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ახლებური რეგულაციების შემოღების საჭიროება განპირობებულია ქვეყნის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების აუცილებლობით. თუმცა ამავდროულად, სწორად უნდა იქნას შეფასებული რეგულაციის შემოღების ეტაპები და აუცილებლობა, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო უარყოფითი შედეგები კერძო სექტორზე. უფრო კონკრეტულად, მნიშვნელოვანია, დეტალურად შეფასდეს თუ როგორი იქნება რეგულაციის ტვირთი ბიზნესისთვის და აღნიშნული რა გავლენას იქონიებს დარგის განვითარებაზე. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ წარმოების შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანი წინასწარი შეფასებით მინიმალურია და არ იქნება მძიმე შედეგების გამოძწვევი, ამ პრობლემების შემარბილებელი ღონისძიებების დანახარჯი მნიშვნელოვნად არ უნდა აღემატებოდეს გარემოზე და მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანის მოცულობას. ამის საპირისპიროდ, იმ შემთხვევაში, თუ გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი გავლენა და არსებული პრობლემების შემდგომი პრევენცია, განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარის დანახარჯს წარმოადგენს - საწარმოს, საზოგადოების და სახელმწიფოს, მნიშვნელოვნად აღემატება საწყის ეტაპზე გასატარებელ გარემოსდაცვითი ღონისძიებების დანახარჯს, მნიშვნელოვანი და აუცილებელია თავიდანვე განისაზღვროს სავალდებულო ღონისძიებად და საწარმომ უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება. მოცემული მსჯელობიდან, ცალსახად და ნათლად იკვეთება, რომ ახალი რეგულაციების შემოღება ერთი შეხედვით შეიძლება ქმნიდეს იმის წარმოდგენას, რომ ეს მძიმე ტვირთად დააწვება კერძო სექტორს, თუმცა მეორეს მხრივ, ნათელია, რომ ის გაცილებით უფრო გრძელვადიანი პერსპექტივისათვის მნიშვნელოვანწილად შეამცირებს დანახარჯებს, როგორც კერძო სექტორისგან, აგრეთვე სახელმწიფოსაგან და საზოგადოებისაგან. რადგან თუკი, საქმიანობის განმახორციელებელს, საწყისი ეტაპიდანვე ეცოდინება, რა ღონისძიებები უნდა გაატაროს იმისათვის, რომ მისი საქმიანობა იყოს შედარებით ნაკლებად რისკის შემცველი გარემოს დაცვის თვალსაზრისით და შემდგომში საქმიანობის განხორციელებისას ეტაპობრივად არ მოუწიოს დამდგარი ზიანის ანაზღაურება, რაც პრაქტიკაში გაცილებით უფრო დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, ვიდრე საქმიანობის ადრეულ ეტაპზე სწორად დაგეგმვა-განხორციელება, საბოლოო ჯამში ეს საქმიანობის განმახორციელებლისათვის გაცილებით უფრო სარგებლიანი იქნება.

ბ) სკრინინგის პროცედურის დანერგვა - განსხვავებით დღეს მოქმედი კანონმდებლობისა, რომელიც განსაზღვავს ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ

საქმიანობებს, წარმოდგენილი კანონპროექტი საქმიანობების ჩამონათვალს ყოფს ორ დანართად. პირველ დანართში მითითებული საქმიანობებისათვის სავალდებულოა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ჩატარება. მეორე დანართში მითითებული საქმიანობისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ტარდება სკრინინგის პროცედურა. თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს კანონპროექტის II დანართში მოცემული რომელიმე საქმიანობის განხორციელებას, იგი ვალდებულია მიმართოს სამინისტროს სკრინინგის განცხადებით და სამინისტროსგან მიიღოს გადაწყვეტილება ექვემდებარება თუ არა მის მიერ განსახორციელებელი საქმიანობა გზმ-ს. ამავდროულად, სკრინინგის პროცედურის მთავარი მიზანი არის, რომ ხელი შეუწყოს საქმიანობის განმახორციელებელს დაზოგოს ფინანსური რესურსი და დრო, წინასწარ არ მოამზადოს გზმ-ს სრული ანგარიში ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლოა საერთოდ არ დაექვემდებაროს გზმ-ს. თუმცა, აღნიშნულისგან გამონაკლის შემთხვევასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი კანონპროექტი, თუკი საქმიანობის განმახორციელებელი, მიიჩნევს რომ მის მიერ დაგეგმილი საქმიანობა სავალდებულოდ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, იგი უფლებამოსილი იქნება, პირდაპირ სკოპინგის განცხადებით მიმართოს გარემოს დაცვის სამინისტროს (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე) და ითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. ასეთ დროს პირი დაზოგავს სკრინინგის ეტაპისათვის გათვალისწინებულ დროს და ვადებს და შესაბამისად ადმინისტრაციულ წარმოებას სამინისტროში დაიწყებს სკოპინგის ეტაპით. რაც შეეხება სკრინინგის პროცედურას, იგი თავისი არსით და წარმოსადგენი ინფორმაციის გათვალისწინებით, საკმაოდ მარტივ პროცედურას წარმოადგენს. საქმიანობის განმახორციელებს არ სჭირდება მოამზადოს რაიმე ანგარიში გარემოზე ზემოქმედების შესახებ. მან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უნდა მიაწოდოს მოკლე აღწერა განსახორციელებელი საქმიანობის, მისი ადგილმდებარეობის, მახასიათებლებისა და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ. სამინისტრო კანონპროექტში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელიც ასევე ემყარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დირექტივაში მოცემულ კრიტერიუმებს, იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის გზმ-სადმი დაქვემდებარების შესახებ. სკრინინგის პროცედურისათვის დადგენილია საკმაოდ მცირე ვადები, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას არანაკლებ 10-დან 15 დღის ვადაში. არანაკლებ 10 დღიანი ვადის დაწესება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ თუკი შევხედავთ, იმ კრიტერიუმებს, რომლის საფუძველზეც სამინისტრო მსჯელობს სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად და ასევე იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომლის წარმოდგენის ვალდებულებაც აქვს საქმიანობის განმახორციელებელს სკრინინგის ეტაპზე, რომელიც არის საბაზისო, საკმაოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია, დავრწმუნდებით, რომ სამინისტროს მოუწევს საკმაოდ მნიშვნელოვანი ასპექტების განხილვა, მათ შორის, ინფორმაციის გამოთხოვა შიდა სტრუქტურული ერთეულებიდან, დაქვემდებარებული უწყებებიდან. სწორედ ამიტომ დადგინდა მინიმალური ზღვარი გადაწყვეტილების მიღებისათვის, რათა ფორსმაჟორულ რეჟიმში არ მოუწიოს სამინისტროს მუშაობა, შეძლოს იმ ინფორმაციის ანალიზი, რასაც მოიპოვებს და სწორად მიიღოს გადაწყვეტილება, იმ არსებული ადამიანის რესურსების გათვალისწინებით რაც ამ ეტაპზე მას გააჩნია.

გ) სკოპინგის პროცედურის დანერგვა - სკოპინგის პროცედურა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის პირველი ეტაპია. ამ ეტაპზე, საქმიანობის განმახორციელებელმა სამინისტროს უნდა წარუდგინოს სკოპინგის ანგარიში. სკოპინგის ეტაპის მიზანია, განისაზღვროს იმ ინფორმაციისა და კვლევების ჩატარების ფარგლები, რის

საფუძველზეც უნდა მომზადდეს გზმ-ს ანგარიში. სკოპინგის შედეგად, საქმიანობის განმახორციელებელს ზუსტად ეცოდინება, თუ რა კვლევები უნდა ჩატაროს კონკრეტულ საქმიანობასთან მიმართებით (გარემოს რომელიც კომპონენტების შესწავლას უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება), რა ინფორმაცია უნდა ასახოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში. ამდენად, მისთვის გაცილებით უფრო მარტივი ხდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება, რადგან მას სამინიტროსგან მიღებული აქვს სახელმძღვანელოდ სკოპინგის დასკვნა. ამდენად, სკოპინგის ეტაპი საშუალებას მისცემს საქმიანობის განმახორციელებელს ზუსტად დაგეგმოს ბიუჯეტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად და არ გაიღოს ზედმეტი ხარჯები ისეთი კვლევების ჩასატარებლად, რომელიც არ არის აუცილებელი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად.

სკოპინგის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: სკოპინგის ანგარიშის წარდგენა საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, საჯარო განხილვის მოწყობა სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით და სამინიტროს მიერ სკოპინგის დასკვნის გაცემა. პროცედურა ხორციელდება 26-დან 30 დღის განმავლობაში.

საქმიანობის განმახორციელებელს, საშუალება აქვს გააერთიანოს სკრინინგის და სკოპინგის განცხადებები და წარადგინოს ერთიანი განცხადება მეორე დანართში მითითებული საქმიანობისათვის.

სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 2 წლის განმავლობაში საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა მიიღოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სკოპინგის დასკვნა ძალადაკარგულად ცხადდება. ამის მიზეზი არის ის, რომ 2 წლის განმავლობაში შესაძლებელია შეიცვალოს გარემო პირობები და გაცემული სკოპინგის დასკვნა აღარ ასახავდეს იმ რეალობას, რაც საჭირო იქნება გზმ-ს ანგარიშის მომზადებისათვის.

დ) სანებართვოს სისტემის გაუქმება და მის ნაცვლად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის პროცედურა - კანონპროექტის მიხედვით, უქმდება არსებული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო სისტემა. კანონპროექტის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგად, გაიცემა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაცემის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარდგენა სამინიტროში, საჯარო განხილვის მოწყობა სამინიტროს მიერ და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. ამ პროცესების პარალელურად, მიმდინარეობს ექსპერტიზა და საზოგადოების მიერ შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა. სამინიტრო, ექსპერტიზის, საზოგადოების შენიშვნებისა და მოსაზრებების და საკუთარი შეფასების საფუძველზე, გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილებით განისაზღვრება ის პირობები, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა საქმიანობის განხორციელების ეტაპზე.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის პროცედურა ტარდება 51-დან 55 დღის განმავლობაში.

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა ტარდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურებისგან დამოუკიდებლად და წინ უსწრებს ყველა აღნიშნული ლიცენზიისა თუ ნებართვის მიღებას. ამავდროულად, დაუშვებელი იქნება სხვა ლიცენზიითა თუ ნებართვით დადგინდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობებისგან განსხვავებული პირობები. კოდექსის პროექტის მიხედვით, გამიჯნულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის პროცედურა მშენებლობის

ნებართვის გაცემის პროცედურისგან. არსებული ერთი სარკმლის პრინციპს ახალი კანონპროექტი აღარ ითვალისწინებს. საქმიანობის განმახორციელებელი პირდაპირ მიმართავს გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა კოდექსის პროექტის მიხედვით, არ არის შეზღუდვა მან პარალელურად დაიწყოს მშენებლობის ნებართვის მიღების პროცედურა. ხოლო მას შემდეგ რაც ექნება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სამინისტროსგან, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, ანუ პარალელურ რეჟიმში წარმართოს შესაბამის მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოსთან მშენებლობის ნებართვის პროცედურისთვის საჭირო ეტაპები, ხოლო ბოლო დასკვნით ეტაპზე, გადაწყვეტილების წარდგენის შემდგომ მიიღოს მშენებლობის ნებართვა. რაც ცხადია, დროის დაზოგვის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.

ე) საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება - კანონპროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის კონკრეტული საფუძვლების ჩამოყალიბება. საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო. აღნიშნული მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია, როგორც სკრინინგისა და სკოპინგის ასევე გზმ-ს ეტაპებზე. სამინისტრო მოცემულ შემთხვევაში გამოსცემს სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემაზე უარის თქმის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ერთ-ერთი გარემოება, კერძოდ, თუ საქმიანობის განხორციელებით დაირღვევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ან სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, აგრეთვე თუ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დაკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათის და მოცულობის მიუღებლობა, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის შეუძლებლობა ან/და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ზომების მიღების შეუძლებლობა.

ვ) გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლება - კანონპროექტი ზუსტად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია საქმიანობის განმახორციელებელი გათავისუფლდეს გზმ-ისაგან. მოცემული დანაწესი სრულად შესაბამისობაშია იმ ევროკავშირის დირექტივასთან, რომელიც არეგულირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებს. გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან გათავისუფლება შესაძლებელია იმ კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის, რომლის მიზანია სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ან ფორსმაჟორული სიტუაციით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ღონისძიებების გატარება. ასეთ შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი სამინისტროს წარუდგენს დასაბუთებულ განცხადებას, იმის შესახებ, რომ გზმ-ის პროცედურამ შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას სახელმწიფო უსაფრთხოებას ან ფორსმაჟორული სიტუაციით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე საჭირო ღონისძიებების დროულად განხორციელებას. რაც გულისხმობს, რომ საქმიანობის განხორციელება უკავშირდება შემჭიდროვებულ ვადებს და გზმ-ს პროცედურის ჩატარებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ზემოაღნიშნული გარემოებების დროულად აღმოფხვრას. აღსანიშნავია, რომ ამგვარ პროცედურას არსებული კანონი არეგულირებდა, თუმცა როგორც პრაქტიკამ ცხადყო, ხშირ შემთხვევაში ისმებოდა საკითხი გზმ-სგან გათავისუფლების შესახებ, ისეთი საქმიანობებისათვის, რაც არ იყო დაკავშირებული საერთო სახელმწიფოებრივ

ინტერესთან და შემჭიდროვებულ ვადებში მის განხორციელებასთან. შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დირექტივის მოთხოვნების გათვალისწინებით, კონკრეტულად და ამომწურავად განისაზღვრა ის გარემოებები, რაც შესაძლოა საფუძვლად დაედოს საქმიანობის გზშ-სგან გათავისუფლებას. აქვე, აღსანიშნავია, რომ გზშ-სგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის წარდგინების საფუძველზე მიიღებს საქართველოს მთავრობა კანონმდებლობით დადგენილი წესით. გამომდინარე იქედან, რომ გზშ-სგან გათავისუფლება განხორციელდება სახელმწიფო უსაფრთხოების ან ფორსმაჟორული სიტუაციით გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე და საკითხი არ ეხება მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას, მიზანშეწონილია, მთავრობამ, როგორც კოლეგიურმა ორგანომ იმსჯელოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. დამატებით განისაზღვრა ასევე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ჩართულობა, იმ შემთხვევისათვის თუ საქმიანობის მიზანია სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, განცხადებას ასევე თან უნდა ერთვოდეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი შეუამდგომლობა.

ზ) საქმიანობის შემდგომი ანალიზი - გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა დაფუძნებული უნდა იყოს ანალიტიკურ მუშაობაზე. სწორედ ამიტომ, ყველა საქმიანობისათვის ტარდება საქმიანობის შემდგომი ანალიზი. აღნიშნული პროცედურის ჩატარების შედეგად, სამინისტრო და საზოგადოება გააანალიზებს რამდენად სწორი იყო ის დაშვებები, რაც გაკეთდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დროს, რა რეალური მაჩვენებლები დაფიქსირდა საქმიანობის ეტაპზე და სხვ. აღნიშნული ანალიზი საშუალებას მისცემს საზოგადოებას და სამინისტროს შემდგომი გადაწყვეტილებების გაცემის პროცესში, გაითვალისწინონ სხვა საქმიანობის განხორციელების შედეგები და მათი შეფასებები დაფუძნებული იყოს კონკრეტულ გამოცდილებაზე.

აღსანიშნავია სხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის პროცესში. კერძოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება წინ უნდა უსწრებდეს სხვა სახის ნებართვის ან/და ლიცენზიის აღებას, რაც საქმიანობის განმახორციელებელს საშუალებას აძლევს უკეთ დაგეგმოს საქმიანობის განხორციელების ეტაპები. გამონაკლისი იქნება სარგებლობის ლიცენზია, რომელიც გაიცემა აუქციონის წესით. ამ შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი თავდაპირველად აიღებს სარგებლობის ლიცენზიას აუქციონის მეშვეობით, მაგრამ, ვერ დაიწყებს სალიცენზიო საქმიანობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე. იმ შემთხვევაში, თუ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უარყოფითი იქნება, მაშინ, მიღებული სარგებლობის ლიცენზია ძალადაკარგულად გამოცხადდება. მსგავსი მექანიზმის შემოტანა მიზნად ისახავს, ერთის მხრივ სარგებლობის ლიცენზიას დაქვემდებარებული საქმიანობების გარემოსდაცვით შეფასებას, ხოლო მეორეს მხრივ იმისათვის, რომ არ შეფერხდეს სარგებლობის ლიცენზიის გაცემის პროცესი და ინვესტორმა არ დაკარგოს ინტერესი სარგებლობის ლიცენზიის მიღებისა, ასევე არ გასწიოს წინასწარ ხარჯები გზშ-ს პროცედურისათვის, სარგებლობის ლიცენზიის მიღებამდე, კანონპროექტმა შემოიტანა გამონაკლისის სახით ზემოაღნიშნული მექანიზმი, რაც

ყველაზე ოპტიმალურია როგორც ბიზნეს გარემოს ხელშეწყობის, ასევე გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინების კუთხით.

კიდევ ერთი სიახლე არის ის, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება ექნება როგორც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ასევე, ადმინისტრაციულ ორგანოებს და სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნებს. ამით უზრუნველყოფილი იქნება როგორც თანასწორობის პრინციპი, ასევე, გარემოსდაცვითი პრინციპების გატარება სახელმწიფოს მხრიდან.

კანონპროექტით განისაზღვრება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესაძლებლობა, თუმცა კანონპროექტი განსაზღვრავს გაცილებით მარტივ მექანიზმს ამ პროცესისათვის და ასევე არსებული რეგულაციისგან განსხვავებით, ითვალისწინებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნაწილობრივი გადაცემის შესაძლებლობას, რაც განპირობებულია არსებული პრაქტიკით.

თ) ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებული საქმიანობის რეგულირება - კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება არ გაიცემა ნავთობისა და გაზის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე. თუმცა მოცემულ საკითხებს დაარეგულირებს ის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკითხებს ეხება ამ სფეროში. შესაბამისად, კანონში მითითება კეთდება, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნება აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც იდენტურ რეგულაციებს დაადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკითხებთან მიმართებით. აღნიშნული განპირობებულია „გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ 2011 წლის 13 დეკემბრის 2011/92/EU დირექტივის მოთხოვნებიდან, რადგან აღნიშნული დირექტივა ეხება მათ შორის ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებულ საქმიანობას, რომელიც საქართველოს არსებული საკანონმდებლო სისტემის გათვალისწინებით, ცალკე კანონქვემდებარე აქტით დარეგულირდება, იდენტურად, იმავე პრინციპებზე დაყრდნობით, როგორც ეს არის გარემოსდაცვით შეფასების კოდექსის პროექტში, იმ განსხვავებით, რომ ნაცვლად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა გზმ-ს საკითხებზე იმსჯელებს და შესაბამის გადაწყვეტილებას გასცემს ამ სფეროში კომპეტენტური ორგანო საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო.

მესამე თავი - სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება- მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სტრატეგიული დოკუმენტების შეფასებას გარემოსდაცვითი კუთხით და ამდენად, აღნიშნული ინსტიტუტი მთლიანად სიახლეა ქართული კანონმდებლობისათვის. აღნიშნული თავი ითვალისწინებს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას ისეთი დოკუმენტის მომზადების დროს, რომელმაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამასთან, პროცედურაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად მონაწილეობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის ჩატარება სავალდებულოა იმ სექტორებში მომზადებული სტრატეგიული დოკუმენტებისათვის, რომელიც მითითებულია კანონპროექტში და ამასთან, ჩარჩოს უდგენს კანონპროექტის დანართში მითითებულ საქმიანობებს. სხვა სტრატეგიული დოკუმენტის მიმართ ტარდება სკრინინგის

პროცედურა, რა დროსაც დადგინდება უნდა დაექვემდებაროს თუ არა სტრატეგიული დოკუმენტი სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურები გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის მსგავსია იმ კუთხით, რომ ის მოიცავს მსგავს ეტაპებს, კერძოდ, სკოპინგის ეტაპს, რომელიც იგივე ვადებში და იგივე პრინციპებით ტარდება და რეკომენდაციის გაცემის ეტაპს, რომელიც იმავე ვადებში და პრინციპებით ტარდება, როგორც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პროცედურები. ამასთან, ვინაიდან, სტრატეგიული დოკუმენტის მიღება/გამოცემა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ხდება, სტრატეგიულ გარემოსდაცვითი შეფასების შედეგად გაცემული დასკვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა, დამგეგმავი ორგანო ვალდებული იქნება დაასაბუთოს, თუ რატომ არ ითვალისწინებს სამინისტროსგან და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან მიღებულ რეკომენდაციებს.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ინსტიტუტის შემოღების ძირითადი მიზანია, გარდა ქვეყნის მიერ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა, ხელი შეუწყოს ქვეყნის სტრატეგიულ დაგეგმარებას და ამ პროცესში გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტების ინტეგრირებას. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ სტრატეგიული დოკუმენტების მიღება, როგორც წესი მიზნად ისახავს, ისეთი სექტორების დაგეგმარება/განვითარებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს გარემოზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ქვეყნის მდგრადი განვითარება და ამა თუ იმ სექტორის განვითარება დაეფუძნოს სწორ, კომპლექსურ გადაწყვეტილებებს, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ინსტიტუტი ითვალისწინებს მათ შორის საზოგადოების მონაწილეობას ამ პროცესში, დაგეგმარების ადრეული ეტაპიდან. ამასთან, კანონპროექტით შემოთავაზებულია იმგვარი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებას და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურების ჩატარებას პარალელურ რეჟიმში. მისი მთავარი მიზანია, სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებისას მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ის რისკები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, რაც შესაძლებელია მოჰყვეს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებას. გარდა ამისა, სტრატეგიული დოკუმენტის გარემოსდაცვითი შეფასება, ხელს შეუწყობს მდგრადი საინვესტიციო გარემოს შექმნას ქვეყანაში, ვინაიდან, სტრატეგიული დოკუმენტი, როგორც წესი ჩარჩოს ადგენს სამომავლოდ განსახორციელებელი ისეთი საქმიანობებისთვის, რომელიც ექვემდებარება გზშ-ს. შესაბამისად, სტრატეგიულ დოკუმენტზე გარემოსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მიერ გაცემული დადებითი რეკომენდაცია, წარმოადგენს ერთგვარ გარანტიას გზშ-ს დაექვემდებარებულ საქმიანობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღებისათვის. აქვე ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, რომელთა დაფინანსებითაც ხორციელდება ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პროექტები, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ინსტიტუტს, რაც ამცირებს რისკებს, მათ მიერ გამოყოფილი ინვესტიციებისათვის.

მეოთხე თავი - საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
აღნიშნული თავი უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის ეფექტიანი მექანიზმების შემოღებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. კანონპროექტით დადგენილია საზოგადოების მიერ შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის ელექტრონული და წერილობითი საშუალებები. ამასთან,

საზოგადოებას მოქმედ კანონთან შედარებით უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აქვს შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა. კოდექსის ერთ-ერთი მთავარი სიახლე არის სწორედ ის, რომ საზოგადოების მონაწილეობა უზრუნველყოფილია გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე. კერძოდ, სკრინინგის, სკოპინგის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების, სტრატეგიულ დოკუმენტზე რეკომენდაციის გაცემის პროცესში.

საზოგადოების მონაწილეობა გულისხმობს მათ ინფორმირებას, მათთვის მოსაზრებებისა და შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობის მინიჭებას სხვადასხვა საშუალებებითა და სხვადასხვა ეტაპზე. ამასთან, გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში ასახოს ყველა ის მოსაზრება, რაც წარმოდგენილია საზოგადოების მიერ და შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღებისას.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ინფორმირება და საჯარო განხილვის ორგანიზება იქნება არა საქმიანობის განმახორციელებლის, არამედ, სახელმწიფოს, კერძოდ, სამინისტროს ვალდებულება. ამით უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების უფრო ეფექტიანი მონაწილეობა და ამასთან, საქმიანობის განმახორციელებლები გათავისუფლდებიან ამ ტვირთისგან.

მეხუთე თავი - გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა.

კანონპროექტი, ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე ითვალისწინებს, სრულიად ახალი, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის შემოღებას, რაც გულისხმობს საქმიანობის ან სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით უცხო ქვეყნის გარემოზე ზემოქმედების დროს, აღნიშნული სახელმწიფოს ჩართულობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აღნიშნული პროცედურა ტარდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქართველოს გარემოზე ხდება ზემოქმედება უცხო სახელმწიფოში დაგეგმილი საქმიანობის ან სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შედეგად. გარემოზე ტრანსსასაზღვრო პროცედურის ჩატარება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ მეორე სახელმწიფოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გარემოსდაცვით სფეროში ნაკისრი აქვს მსგავსი ტიპის ვალდებულება ან საქართველოსა და ამ სახელმწიფოს შორის გაფორმებულია ორმხრივი ხელშეკრულება გარემოზე ტრანსსასაზღვრო პროცედურების განხორციელების თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის ან სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება დაკავშირებულია გარემოზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებასთან, რომელიც იდენტიფიცირებულია საქმიანობის განმახორციელებლის, დამგეგმავი ორგანოს, სამინისტროს ან/და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას დაქვემდებარებული სახელმწიფოს მიერ, საქართველოს მთავრობა სამინისტროს შუამდგომლობით იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის/სტრატეგიული დოკუმენტის გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას დაქვემდებარებული რომელიმე სახელმწიფო გამოხატავს ინტერესს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურაში მონაწილეობის შესახებ, შესაბამისი სახელმწიფოს მიერ ინტერესის გამოხატვის შემდგომ საქართველოს მთავრობა სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ სახელმწიფოსთან ტრანსსასაზღვრო პროცედურების დაწყების თაობაზე. საქართველოს მთავრობის ჩართულობა და მის მიერ გადაწყვეტილების მიღება მოცემულ საკითხზე

განპირობებულია საკითხის მნიშვნელობიდან და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობასა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებიდან გამომდინარე.

მეექვსე თავი - საექსპერტო კომისია და პასუხისმგებლობა გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში საექსპერტო კომისიის შექმნის მიზანია კომპეტენტური და დამოუკიდებელი პირების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საექსპერტო კომისია ატარებს ექსპერტიზას წარდგენილ დოკუმენტზე (გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში, ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში). კომისიის დასკვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სამინისტროს მიერ სწორი და არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც დაფუძნებული იქნება შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ ჩატარებულ კვლევაზე და მათი მხრიდან საკითხის სრულყოფილად შესწავლაზე. კომისიის მიერ მიღებული დასკვნა წარედგინება სამინისტროს. სამინისტრო სათანადოდ ითვალისწინებს კომისიის დასკვნას. კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. აღნიშნული თავი ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

გარდა ამისა, აღნიშნული თავი მოიცავს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების პროცედურას, რომელიც არსებულ „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ კანონშია მოცემული. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლი ითვალისწინებს ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობების (გარდა საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ განსაზღვრული, არსებულ ნაგავსაყრელებთან დაკავშირებული საქმიანობებისა), რომელთა განხორციელებაც დაწყებულია 2015 წლის 1 ივნისამდე და რომლებსაც არ აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, გაგრძელების შესახებ სათანადო გადაწყვეტილების მიღებას. ხოლო 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მისაღებად სამინისტროს განცხადებით მიმართოს 2019 წლის 1 ივნისამდე. აღნიშნული რეგულირების შემოღება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ის საქმიანობები, რომელთაც ვერ მოიპოვეს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა საჭიროებდნენ გარკვეულ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევას, რათა დაქვემდებარებოდნენ გარემოსდაცვით რეგულაციებს. იმის გათვალისწინებით, რომ საქმიანობის განმახორციელებლები შესაძლებელია იყვნენ, როგორც კერძო სექტორის წარმომადგენლები, ასევე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტები (მაგ. საქართველოს მეტროპოლიტენი, ჰიდროელექტროსადგურები, საქართველოს რკინიგზა, მაგისტრალური გაზსადენები და ნავთობსადენები და ა.შ.), რომელთა საქმიანობას ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და რომელთა ფუნქციონირებას სახელმწიფოებრივი/საზოგადოებრივი დატვირთვა გააჩნია. გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მისაღებად მიმართვის ვადა იწურება 2017 წლის 1 ივნისს და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტროსთვის ყველა სუბიექტს არ მოუმართავს, საჭირო გახდა, კოდექსით აღნიშნული საკითხის დარეგულირება. ამასთან,

მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მინიჭებისათვის სამინისტროსათვის მიმართვის ვადამ გადაიწია 2019 წლის 1 ივნისამდე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. გარდამავალი პერიოდის გეგმების შემოღება ევროპის ქვეყნებშიც ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა და მისი მიზანია ეტაპობრივად უკვე არსებული საქმიანობების გარემოსდაცვით ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. იმ ობიექტებთან მიმართებით, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების შეფასების რეგულაციების მიღებამდე ამოქმედდა, საჭირო გახდა გარკვეული ქმედითი სამართლებრივი რეგულაციების შემოღება. სწორედ ამ მიზნით, მიღებულ იქნა *2001 წლის 19 მარტის ევროკავშირისა და ევროსაბჭოს რეგულაცია ეკო-მენეჯმენტისა და აუდიტის გარდამავალი გეგმა-გრაფიკების შემოღების შესახებ (REGULATION (EC) No 761/2001 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 19 March 2001 allowing voluntary participation by organisations in a Community eco-management and audit scheme (EMAS); ამჟამად მოქმედია 2009 წლის 25 ნოემბრის რედაქტირებული დადგენილება (Regulation (EC) No 1221/2009 (EMAS III). აღნიშნული რეგულაცია, ზოგადი ეკოლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, ითვალისწინებდა უკვე არსებული საქმიანობებისთვის გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკების შემუშავების რეკომენდაციებს.*

ამჟამად, **ევროკავშირის ქვეყნებში**, უკვე მოქმედი ობიექტებისთვის გარდამავალი პერიოდის გეგმა-გრაფიკების შემუშავების ვალდებულება განისაზღვრება *ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 24 ნოემბრის დირექტივით სამრეწველო ემისიების (საერთო დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის) შესახებ¹ (Directive 2010/75/EU of the European Parliament and of the Council of 24 November 2010 on industrial emissions (integrated pollution prevention and control). კერძოდ, მისი 32-ე მუხლი ავალდებულებს წევრ ქვეყნებს უკვე არსებული, ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობებისათვის (იგულისხმება ენერგეტიკული მრეწველობის, ქიმიური მრეწველობის, მოპოვებითი მრეწველობის, მეტალების წარმოებისა და დამუშავების, ნარჩენების მართვის, ცხოველების მოშენების და სხვა დარგებთან დაკავშირებული აქტივობები) გარდამავალი ეროვნული გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას 2016 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 30 ივნისის პერიოდისთვის. გარდამავალი ეროვნული გეგმა უნდა ადგენდეს ემისიების კონკრეტულ ოდენობებსა და სახეობებს*

¹ ის აერთიანებს მანამდე მოქმედ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს დირექტივას. ესენია: დირექტივა ტიტანის დიოქსიდის საწარმოო ნარჩენების შესახებ (Directive 78/176/EEC on titanium dioxide industrial waste); დირექტივა ტიტანის დიოქსიდის ნარჩენების მონიტორინგისა და ზედამხედველობის შესახებ (Directive 82/883/EEC on the surveillance and monitoring of titanium dioxide waste); დირექტივა ტიტანის დიოქსიდის საწარმოო ნარჩენების შემცირების შესახებ (Directive 92/112/EEC on the reduction of titanium dioxide industrial waste); დირექტივა აქროლადი ორგანული ნაერთების გამოყოფის შემცირების შესახებ (Directive 1999/13/EC on reducing emissions of volatile organic compounds (VOCs)); დირექტივა ნარჩენების წვის შესახებ (Directive 2000/76/EC on waste incineration); დირექტივა გარემოს დაბინძურების კომპლექსური პრევენციისა და კონტროლის შესახებ (Directive 2008/1/EC concerning integrated pollution prevention and control); დირექტივა დიდი სიმძლავრის საწვავი მოწყობილობებიდან ზოგიერთი დამაბინძურებლის გარემოში ემისიის შეზღუდვის შესახებ (Directive 2001/80/EC on the limitation of emissions of certain pollutants from large combustion plants).

თითოეული საქმიანობისთვის და, საბოლოოდ, მიმართული უნდა იყოს ემისიების სრული ოდენობის შემცირებისკენ (საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია მიმდინარე საქმიანობა შესაბამისი იყოს გარემოს დაცვის ნორმებთან და სტანდარტებთან).

გარდამავალ რეგულაციებს უკვე არსებული ობიექტებისთვის მოიცავს, აგრეთვე, *შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ კონვენცია (Convention on Long-range Transboundary Air Pollution, Geneva, 1979)*, ამ კონვენციის *გოტენბურგის ოქმი² (Gothenburg Protocol)* და SEVESO დირექტივა *სახიფათო ნივთიერებებთან დაკავშირებული მსხვილმასშტაბიანი ავარიების მაღალი რისკების კონტროლის შესახებ (Directive 2012/18/EU, of 4 July 2012 on the control of major-accident hazards involving dangerous substances)*.

კოდექსის პროექტით აგრეთვე განისაზღვრება ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ეხება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობას. განისაზღვრება მექანიზმები, რომელსაც გადაწყვეტილების გამცემი და პირობების მაკონტროლებელი გამოიყენებს. ამავდროულად, დგინდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. კერძოდ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში. აგრეთვე კოდექსის პროექტის მე-14 მუხლი განსაზღვრავს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესსაც, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში. გასაჩივრების საკითხები ზუსტად იმგვარად არის რეგულირებული, როგორც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შემთხვევაში იყო გათვალისწინებული კანონმდებლობით.

მეშვიდე თავი - გარდამავალი და დასკვნითი დებულებები -

კანონპროექტით გათვალისწინებულია იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ჩამონათვალი, რომელთა მიღებაც აუცილებელია კოდექსის ამოქმედებისათვის და პრაქტიკაში განხორციელებისათვის. კანონპროექტი განსაზღვრავს კოდექსის ამოქმედების სხვადასხვა ვადებს. კერძოდ, კოდექსის ამოქმედების ზოგადი ვადა არის 2017 წლის 1 სექტემბერი (როგორც ეს ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებიდან გამომდინარეობს), გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურებისათვის ძალაში შესვლის თარიღად დადგენილია ის ვადა, როდესაც სახელმწიფო მოახდენს შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების რატიფიცირებას, რომელსაც ემყარება ტრანსსასაზღვრო პროცედურები, ამასთან, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურების ამოქმედება გათვალისწინებულია 2018 წლის 1 იანვრიდან, მთავარი მიზეზი არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და გარემოს დაცვის

² ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება მიუერთდეს ამ კონვენციასა და გოტენბურგის ოქმს.

სამინისტროების ინსტიტუციური, ტექნოლოგიური რეფორმების საჭიროება და ადამიანური რესურსის კაპიტალის ზრდა, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მიმდინარე ევროკავშირის „ტვინინგის“ პროექტი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს საკითხების სწორ მენეჯმენტს ეხება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება საჭიროებს დამატებითი ხარჯების გაღებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. აუცილებელი იქნება საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის უზრუნველყოფისათვის სათანადო მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყოფა (რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში, რადგან წარმოდგენილი კოდექსის პროექტით, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ნაწილის ამოქმედება განსაზღვრულია 2018 წლის 1 იანვრიდან). სწორედ ამიტომ, საბიუჯეტო პროცესის დაგეგმვისას, ორივე სამინისტრომ 2018 წლის ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული საკითხები და განსაზღვროს თანხების ის სავარაუდო ოდენობა, რაც აუცილებელი იქნება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ინსტრუმენტის აღსრულებისათვის.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კანონპროექტით დგინდება გარემოსდაცვითი შეფასების მოსაკრებელი, რომლითაც ჩანაცვლდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოსაკრებელი, ოდენობის უცვლელად. გარემოსდაცვითი შეფასების მოსაკრებელი განისაზღვრება 500 ლარით, როგორც ეს იყო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისათვის. აქვე, გამომდინარე იქედან, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტის II დანართით განისაზღვრება იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც დაექვემდებარება სკრინინგის პროცედურას და რომელიც მოქმედი რეგულაციის პირობებში არ საჭიროებდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, თუკი სკრინინგის გადაწყვეტილებით დადგინდება, რომ საქმიანობა ექვემდებარება გზშ-ს, საქმიანობის განმახორციელებელს მოუწევს გარემოსდაცვითი შეფასების მოსაკრებლის გადახდა, რომელიც მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში. თუმცა წინსწრებით რა თქმა უნდა შეუძლებელია დაითვალოს ის სავარაუდო საქმიანობები, რომლებიც კოდექსის ამოქმედების შემდგომ შემოვლენ ბაზარზე და მოუწევთ ახალი რეგულაციების რეჟიმში ფუნქციონირება და შესაბამისად მოსაკრებლის თანხა, რომელსაც გადაიხდიან ასეთი პირები. თუმცა, ცალსახაა, რომ ახალი რეგულაციები შესაძლოა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე აისახოს და მოიმატოს გარემოსდაცვითი შეფასების მოსაკრებლის თანხის ოდენობამ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოსაკრებელთან მიმართებით. ამასთან, კანონპროექტი განსაზღვრავს გადაწყვეტილების პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სქემას. თუმცა უკვე კონკრეტული მარეგულირებელი ნორმები, სადაც განსაზღვრულია კონკრეტული პასუხისმგებლობის ზომა, მოცემულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტის თანმდევ კანონპროექტებში. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

ცვლილებებში. აქედან გამომდინარე, კანონპროექტით განსაზღვრული ახალი რეგულაციების შემოღება და მის თანმდევ ზემოაღნიშნულ კანონპროექტებში ცვლილებები გამოიწვევს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას. უფრო კონკრეტულად, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობები სკრინინგის პროცედურის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია დაექვემდებაროს გზმ-ს. აქედან გამომდინარე, წინასწარ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, ჯამში II დანართით გათვალისწინებული რამდენი საქმიანობა დაექვემდებარება გზმ-ს და ამის შესაბამისად, ასევე შეუძლებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობების განხორციელების შემთხვევების რიცხოვნობად გამოსახვა და ჯარიმის სახით მისაღები შემოსავლის ოდენობის დადგენა. ასევე, თანმდევი სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების პროექტით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ან სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობის განხორციელებისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ფორმად განისაზღვრება ჯარიმა, რომლის გადახდის შემთხვევაში თანხა მიმართული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნული ჯარიმის ოდენობის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, ასევე შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრა, თუ რამდენ შემთხვევაში გამოიყენებს სასჯელის სახით ჯარიმას სასამართლო.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიღებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება სხვადასხვა ვალდებულებების შესრულების საკითხი, მათ შორის, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის გაძლიერება ადამიანური რესურსების მიმართულებით. ახალი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის ვალდებულებების შესრულების მიზნით, სამინისტროსა და მისი სსიპ-ებთან არსებული გეოსაინფორმაციო მონაცემთა ბაზებისა და სივრცულ მონაცემთა ტექნიკური ინტეგრაციისა და ერთიან სამუშაო სივრცეში სისტემატიზაციისათვის იგეგმება უნიფიცირებული გეოინფორმაციული ელექტრონული სისტემის პორტალის (GIS) და ბიზნეს პროცესების მოდელირებისა და ნოტაციის ავტომატიზირებული სისტემის (BPMN/CMMN) შექმნა, რომლისთვისაც საჭიროა გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის გაძლიერება 4 სამტატო ერთეულით (2 მთავარი და 2 უფროსი სპეციალისტი). აღნიშნული უკვე აისახა სამინისტროს სამტატო ნუსხაში, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 23 დეკემბრის N2628 განკარგულებით. სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციის ფარგლებში სამტატო რიცხოვნობა იმგვარად განისაზღვრა (შემცირდა სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამტატო რიცხოვნობა 1 ერთეულით), რომ შესაძლებელი გახდა საწყის ეტაპზე ნებართვების დეპარტამენტის გაძლიერება ადამიანური რესურსების თვალსაზრისით. გარდა ამისა, მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის-პორტალის შექმნისათვის სამინისტროს ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი თანხები (პროგრამული კოდი 380102). მისი მიზანია გარემოსდაცვითი მართვის ინტეგრირებული სისტემის შექმნა, რომლის დანიშნულებაც ცენტრალურ და რეგიონულ მართვის სტრუქტურებსა და მათთან დაკავშირებულ უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა და საზოგადოებისათვის ამ მონაცემებთან წვდომის გაუმჯობესება. იგი მოიცავს არსებულ მონაცემთა ბაზების ინტეგრირებას, თავსებადობას ახალ სისტემასთან. აღნიშნული მონაცემთა ბაზის შექმნა წარმოადგენს ძალზედ მნიშვნელოვან წინაპირობას, იმისათვის, რომ სამინისტრომ

ეფექტიანად განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული უფლებამოსილებათა განხორციელება. ეს ეხება მონაცემთა ბაზების ინტეგრირებას ერთიან სისტემაში, რაც საშუალებას მისცემს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, ცალკეული სტრუქტურული ერთეულებიდან ინფორმაციის გამოთხოვის სანაცვლოდ ისინი მოიძიოს, დაამუშავოს და გაანალიზოს ერთ სისტემაში თავმოყრილი ინფორმაციის საფუძველზე, რაც ცხადია, როგორც დროის დაზოგვის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი, აგრეთვე უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის გამართული, შეუფერხებელი ფუნქციონირების არსებით წინაპირობას.

გარდა ამისა, აუცილებელი იქნება საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის უზრუნველყოფისათვის სათანადო მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყოფა (რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში, რადგან წარმოდგენილი კოდექსის პროექტით, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ნაწილის ამოქმედება განსაზღვრულია 2018 წლის 1 იანვრიდან). სწორედ ამიტომ, საბიუჯეტო პროცესის დაგეგმვისას, ორივე სამინისტრომ 2018 წლის ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული საკითხები და განსაზღვროს თანხების ის სავარაუდო ოდენობა, რაც აუცილებელი იქნება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ინსტრუმენტის აღსრულებისათვის.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტით არ დგინდება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება არსებული, რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობით დაინტერესებული კერძო სამართლის პირების დანახარჯი, რადგან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით ჩანაცვლებით არ იცვლება დაწესებული მოსაკრებლის ოდენობა და იგი კვლავ განისაზღვრება 500 ლარით. ამასთან, ახალი რეგულაციით, ფინანსური შედეგები დგება იმ პირთათვის, რომელთა საქმიანობაც „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად არ ექვემდებარებოდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას, ხოლო ახალი რეგულაციების პირობებში, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მეორე დანართით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყების შემთხვევაში, თუკი სკრინინგის გადაწყვეტილებით დადგინდება, რომ საქმიანობა ექვემდებარება გზმ-ს, საქმიანობის განმახორციელებს მოუწევს სკოპინგისა და გზმ-ს ანგარიშების მომზადებისათვის შესაბამისი თანხების გათვალისწინება, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების მოსაკრებლის (500 ლარი) გადახდა. ასე მაგალითისათვის, გზმ-ს დოკუმენტის მომზადების ღირებულება, რომელსაც საქმიანობის განმახორციელებლის დაკვეთით ამზადებს შესაბამისი საკონსულტაციო კომპანია, გამომდინარეობს საქმიანობის სპეციფიკიდან, მისი წარმადობის/სიმძლავრის და საქმიანობის გარემოზე გავლენის შედეგებიდან. შეფასების დოკუმენტის საშუალო ღირებულება 6000-50000 ლარის ფარგლებში მერყეობს. ასევე, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის ღირებულება, მთლიანი საპროექტო ღირებულების (არ მოიცავს საინვესტიციო ღირებულებას) 10-12%-ს უტოლდება. თუმცა, წინსწრებით შეუძლებელია გამოითვალოს სავარაუდო თანხები, რამდენ ახალ

საქმიანობის განმახორციელებელს მოუწევს გზშ-ს დოკუმენტის მომზადება და რა თანხებთან იქნება საბოლოოდ ეს დაკავშირებული. როგორც აღვნიშნეთ, კოდექსის II დანართი განსაზღვრავს ახალ საქმიანობებს, რომლებიც დღეს მოქმედი კანონმდებლობით არ საჭიროებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, თუმცა ამისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს საქმიანობის სკრინინგი, დადგინდეს საჭიროებს თუ არა საქმიანობა სრული გზშ-ს პროცედურის ჩატარებას და მხოლოდ ამის შემდგომ დგება დღის წესრიგში გზშ-ს ანგარიშის მომზადების საჭიროება, მოსაკრებლის გადახდის საკითხი დაინტერესებული პირისათვის. სწორედ ამიტომ, წინსწრებით რთულია დაითვალოს ის სავარაუდო თანხები და საქმიანობები, რომლებიც კოდექსის ამოქმედების შემდგომ შემოვლენ ბაზარზე და მოუწევთ ახალი რეგულაციების რეჟიმში ფუნქციონირება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, კანონპროექტი მომზადებულია ევროკავშირის 2011 წლის 13 დეკემბრის N2011/92/EU დირექტივის საფუძველზე.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, კანონპროექტი მომზადებულია ევროკავშირის 2001 წლის 27 ივნისის 2001/42/EC დირექტივის საფუძველზე.

ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენცია (Espoo, 1991, the Espoo (EIA) Convention).

ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის პროტოკოლი სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებასთან დაკავშირებით (კიევი 2003).

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსის კონვენცია.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები. ამასთან, კანონპროექტის განხილვებში უზრუნველყოფილი იყო ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა.

კანონპროექტის შემუშავდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებითა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ტექნიკური მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამის „მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ სამეზობლოში“ (EaP GREEN) ფარგლებში საერთაშორისო ექსპერტების უშუალო ჩართულობით. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ივნისში ქალაქ ბათუმში ჩატარდა UNECE-ს რიგით მე-8, გარემოსდაცვით მინისტრიალი - გარემო ევროპისათვის (Environment for Europe (EFE)), რომლის ფარგლებში განხილული იქნა სწორედ გარემოსდაცვითი შეფასების ახალი კოდექსი. მინისტრიალში 56 ქვეყნის დელეგაცია და საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მაღალი რანგის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას, სადაც ერთხმად იქნა აღიარებული კოდექსით გათვალისწინებული ახალი რეგულაციების საჭიროება და მნიშვნელობა საქართველოსათვის.

ამავდროულად, ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები იმ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისა და კონსულტანტებისათვის, რომელთაც მოუწევთ ახალი რეგულაციების რეჟიმში მუშაობა, დეტალურად იქნა განხილული კანონპროექტის მთავარი პრინციპები, პროცედურები, ჩატარდა ცალკე კონსულტაციები ეკონომიკური საბჭოს აპარატთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების წარმომადგენლებთან და სხვა სამთავრობო უწყებებთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტზე არსებობს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ექსპერტის წინასწარი დადებითი შეფასება, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული კანონპროექტის შემუშავებაში, როგორც უცხოელი ექსპერტი და ამოწმებდა კოდექსის პროექტის შესაბამისობას ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.